



საქართველოს თავდაცვის მინისტრის
ბრძანება

ქ. თბილისი



MOD 0 20 00000257

20/03/2020

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების თავიდან აცილების
ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის N580 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურმა უზრუნველყოს საქართველოს თავდაცვის ძალებში მუშაობის განსაკუთრებული რეჟიმის (ყაზარმული მდგომარეობა) გამოცხადება 2020 წლის 21 მარტიდან შემდგომ განკარგულებამდე.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი
ირაკლი ღარიბაშვილი